იოვანე შავთელი

(ანდუდ-მესია)

XII საუკუნეში.

ანდუდ-მესია შავთელსა, ლექსი მის უძველ რომელსა.

რუის თაველი.

ზ. მთაწმიანდელისა.

თფილისი
სტამბა ლ. გ. კრამარენკო.
1883

იოვანე შავთელი

(აბდულ-მესია)

XII საუკუნესუი.

აბდულ-მესია შავთელსა, ლექსი მას უქს რომელსა.

რუის თაველი.

37775

ზ. მთაწმინდელისა.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემია
აკად. ი. გრიშაშვილის
სახელობის
ბიბლიოთეკა-მუზეუმი
Библиотека-Музей
имени
Акад. И. Гришашвили
Академия наук Г. С. С. Р.

თ ფ ი ლ ი ს ი
ტიპობა ლ. ვ. კრამარენკო.
1883

Дозволено Цензурою Тифлисъ 11 Октяб. 1883 г.

Типог. Л. Г. КРАМАРЕНКО, на Мухранс. ул. д. № 13

იოვანე შავთელი

— და ქართველების ადგილი ათინასში (XII საუკ.)

ძალსიგურის სწავლა განსთლებით აღჭურვილი მწერალი (ანდუდ მესია) იოვანე შავთელი სცხოვრებდა მეთორმეტე საუკუნესში, თამარ მეფის დროს. იგი იშვა სამცხე-საათაბაგოს, სოფელს შავთას. მეთექვსმეტე საუკუნის საშუალს, როდესაც საქართველოს შინაგან მოქალაქობრივი და პოლიტიკური ძალა დაეცა და ჩვენის მამულის ზოგი ერთ მამათა ამბოხების მოსაბით გარეშე აგარიანთა ტომნიც აგვიღალვიდნენ და ასტეხდნენ, მას ჟამსა: ალბორგებულის და განძვინებულის ოსმალთა მიერ ალარებულ-იქმნა და „ივარ-ეოფილი დასაგალეთ საქართველო და სამცხე საათაბაგო, რომელისა თემსა შინა მდებარეობდა იოვანე შავთელის ბინათ-სადგური სოფ. შავთალ, ადრიშვნეს, რომ ამა მსარესა მთოგვარე ნათელოვანის სიმგრგვლით მცხინვარებდა ჯ გამოკრთოდა, როგორათც კრძალულების სწავლა განათლებულთ პირთ-რიცხვით, აგრეთვე ასასწავლებლებით და „გონება უზადო და ცა ხატ ქმნილ დიდთა მწერალთა რიცხვითა“ეს რასაკვრელია საბერძნეთის სიახლოვის გამო.

როგორც ზეპირეც მოვიხსენეთ, ხსენებულ საუკუნესში დაბეჭრობილ-იქმნა არე იგი და სრულიად აღგვიღლახრებული, რომლისა გამო საქართველოსაც დაჭნელებია თავის შუქ-მფინე მთვარე და მის შემდეგ ველარ განცხოველებულა მის განცხოველებული და ამაღლებული ცა ბრწყინვალე და მანათობელი დისკოს მომფენელი ლამპარი. რადგანაც არე ესე დარჩენილ-იქმნა ოსმალთაგე მფლობელობის და გამგეობის ქვეშ, ვიდრე 1878 წ. ~~ხოლო ამ წელსკი რუსეთმა შეერთა ისევ ამიერ საქართველოსთანა,~~ რომელითაც აღსრულდა წადილი და ნატვრა ჩვენთა წინაპართა-ერთა ანდერძის, რომელთაც თითქმის აღთქმა თვიცათ დუტოვეს თავიანთ შვილებს, რომ ოდესმე ის ქებული და გმირთა საკვანე მხარე, ისევ ისე შემოერთებულიყოს საქართველოსთანა, აწ აღსრულდა წადილი მათი და მხარე იგი დღეს რუსეთის მიერ შეერთებულია ერთ-მეტვარტომე ქართველებთანა, რომელნიც დღეის-შემდეგ ერთნაირად იქმნებიან შემოთვრგლულ და შემოზღუდულნი. აქამდის მოშორებული სოფელი შავთაც დღეს შემოერთებულია ჩვენთან, საიდამაც აღმოგვბრწყინებია ელინთა სწავლა განათლების ქვეშ გაზდილი შავთელი, აი ამ სოფლის გამო უსახელ-ნართულებიათ და უწოდებიათ იოვანესთვის შავთელი, თორემ ეს მისი არც გვარია და არც სახელი, ეს ჩვეულება ძველთა მწერალთა წესათ ჭქონიათ მიღებული, რომ იმისთვის მეტ სახელად იმის აღგილ თემის სახელი უნდა ეწოდებინათ. ან თვითონ დაირქმევდა. ძაგანდითად ვითარ: ხონელი, რუის-თაველი, ეგრისელი, ძაგნაკორელი და სხვანი.

იოვანე შავთელი აღზრდილ იქმნა თავის სამშობლოსში, სოფელს შავთას. ჯერეთ ისევ პატარა ყოფილა, რომ მის მშობლებს იგი მიუბარებიათ შიო მღვიმის მონასტრის სასწავლებელსში,[1] რომლის სასწავლებელიც მდიდარი ყოფილა ვიზანტიის მწერალთა ისტორიულის წიგნებითა, კლასიკურის და უძველესთ მსოფლიო მწერლების ნაწერებითა, სამოსასწავლო სიმდიდრითა და ქართველთა მეფეთა პატიოვის-ცემისაგანო. დიდის აღმომზოობით და უაღრესობით განისმოდა მისი ქება და დიდება მოელს საქართველოსშიო. ამის შესახებ ჭუსილის მსგავსის საუბრით განგვიმარტავენ საქართველოს ისტორიის მწერალნი. საქართველოსში სწავლა მიღების და განვითარების შემდეგ შავთელი გამოსულა შიო-მღვიმის მონასტრიდამა და განუმრავსავს ათინად გამგზავრება, მაგრამ მას მაღე ვერ ღირსებია, რადგანაც ღითონ ოქროს უქონლობას ანთრაკოთაებრ ვერ უბრწყინვალებია, ესე და ამ გვარი დაბრკოლება ერთობ აბრკოლებდაო, მის გულის ღრმად გამომეტუველ ჴაზრებსაც უღზრზინებდაო და ოქრო ოფაზად ელვარე გონებასაც მწარის ყლურით ანრგეტებდა და მის სულის ძალსაც ჭმუნვარების ღრუბლით მოსავდა და საზღვრავდაო.

დიად ხნის განსრბოლნის შემდეგ იოვანე შავთელს ჴლირსებია ათინად გამგზავრება და ივერიის მონასტრის აკადემიასში შესვლა, სადაც მრჩობლად წასვლია სწავლა განათლების საქმე. ესე ხსენებული მონასტერი მეათე საუ-

---

[1]) საქართველოს ისტორია, XVII საუკ. შედგ.

ბუნის დაძლევს იქმნა საძიებველ-ჩაყრილი,[1]) დაარსებული, განწმენდილი და აღორძინებული ქართველთა განგითარებულ ზირთა-ძიერ და ქართველთა მეფეთა ბატიგის ცემისაგან, რასაკვირველია თავიანთ სულის საოხად და საუკუნოდ მოსახსენებლად. ამავე მოანასტრის მახლობლივ დაარსებულ-იქმნა ქართული წიგნების „წიგნთ-საცავი" მოზოგებული ყოველ-ნაირი ძველი და ახალი ქართული წიგნები, შეკრებილი სხვა-და-სხვა ტომთ ენებზე შედგენილი საძეცნიერო თხუზულებანი, მიწვეულ-იქმნენ სხვა-და-სხვა საგნების დიდნი ლ დასელოვნებულნი თვალსოფოს-მასწავლებელნი, რომელნიც განთქმულ და განგითარებულ-იყვნენ ბლატონიურის, ანისტოტელის, დიონისიურის და სხვებისაგან შემოღებულს ძველ-მეტყველურს თვალსოფიასშია, რაისა ძალით ყოველს საგანზე მარტივ და მალად უგებდნენ ქართველთ შვილებსა.

ათინასში მყოფნი ქართველნი დიდად მეცადინეობდნენ, რომ ქართველთა ერის შვილებს თავიანთი უბიწო და ბნელი გონება ელინთა მეცნიერების საშუალებით გაეხსნათ და ამ გვარის საშუალებით და სწავლა მეცნიერების მიდრეკილებით საქართველოსში აღორძინებულიყო დიდი და კლასიკური სწავლა განათლებისა. ამ გვარ სინანრნარის აღძრაზეობითი და ძველ-ძველ მაყლოვან-მტყინვარისაებრის განბრწყინვებამ იკვრაის მონასტრის ქართველების აკადემიისამ, მის აღორძინებამ და სხვა ამ გვარ საკეთილ-დღეო გუნდრუკ სუნგ-

---

[1]) ბაგრატ მეოთხე, დ. ბაქრაძისა, გამოც. 1878 წ.

ლოკანმა კვამდმა ისეთ ნაირათ იმოქმედა საქართველოს ერზე, რომ იმ დროსში, ყოველ ქართველ კაცის შვილს სანატრელად და სანუკვად მიაჩნდა, რომ ის აქედგან განდტოდვიდიყო და იქ მიელო უზესთაესი სადაც ელ-ვარე უმაღლესი სწავლა განათლებაო. [1]) ეს რასაკვირველია შეძლებულთ რიცხვთ შორის იყო, თორემ დაბალ-სალხ-ოთათვის მას ყამსა სწავლა განათლების გზა და კარი დახ-შული იყო, ბლესის ბორება მოტეული იყო განუსაზღვ-რელის შავის უმეტრებით, მოანებითა და შეშფოთებულის ზნეობით, რომელთათვის არა-ვითარი საშუალება არსაი-დამ-რა სჩნდებოდა ამ წარმავალს უჩინო დროსში.

მას ყამსა, როდესაც ოკანე შვთელი გამოვიდ ცხოვრების ასპარეზზე და გაკამათებული დადგა, სწავლა განათლების საქმეს, როგორც აღნიშნულია საქართველოს ძველთა და ახალთ ისტორიკოსთაგან, [2]) უწინარეს ოკანე შვთელის ცხოვრების ასპარეზზე გამოსვლისა, დავით აღ-მაშენებელმა წესათ დადებულ-ბ-ქმნა, რომ ყოველ წელ-წადს საქართველოდამ რამდენიმე ყმაწვილ-კაცნი უნდა გამგზავრებულიყვნენ ათინასში, იქ უნდა დაეყოთ ხა-ნი, შეესწავლათ მეცნიერება და რამდენიმე ხნის შემდეგ აღეტურვილის ბორებითა და სწავლა-მეცნიერებით სავსენი დაბრუნებულიყვნენ საქართველოსში. დავით აღმაშენებლის ანდერძის აღსრულების გამგეობა საქართველოს კათალი-კოზის გამგეობის ქვეშ იყო, და ათონის ივერიის მონა-

---

[1]) ქართველთა მამათა ცხოვრების ფურცლები.

[2]) იოსელიანის ნაწერები.

სტრის წინასამდგრისა, საეკეკლესიო კანონ-მდებლობის ძალით. ესენი ეროვნულთვის იმას სცდილობდნენ, რომ მათ-კენ წაეკვანილ-ეძმაწვილების შემდეგ სწავლისა შეეწყვეტად ბერათ აღეგვიცილებინეს და მით საქართველოს აღმოსავლეთ-წეინებიეო საეკეკლესიო და განვითარებულ-მწერალნი. ეს ასეც იქმნა. იმ დროს მოიფიანა ჩვენსში ბერ-მონაზონობა და ამათგან აღორძინებული მწერლობა, მაგრამ, როგორც სჩანს ოთხნე შავთელის ცხოვრებიდამ, მას ბერობა არა სდომნია, ამიტომ საქართველოდამ გამგზავრებაც გაჭირვებია. ბოლოს-კი, რომ საშველი არსაიდამ რა მისცემია, მაშინ-კი დასთანხმებულა და ერთ წელს, ერთს წელობა ეძაწვილ-კაცობაში მოჰყოლია, რომელნიც მიემგზავრებოდნენ ათონასო. დავით აღმაშენებელისაგან წესად დადგენილ-ეროვილა, რომ ეოველ წელს საძოც ეძაწვილზე ნაკლები არ უნდა წასულიყვნენო, აღნიშვნენ, ისტორიასში, რომ ეძაწვილები დიდის მიმზიდველობითა და აღმამზეობით მიიკლტოდნენ ათონადო, რომელთაც საბაკი საკლარადამ ეძლეოდათო. ეს გამგზავრება ბევრ ეძაწვილ კაცს აღონებდა და ბევრს ძმობლებსაც აწუხებდაო, მაგრამ, როგორც აღნიშნულია, ეძაწვილები დიდის სისწრაფით მიდიოდნენო და იქაც დიდათ მეცადინეობდნენ, რომ იმათ იქ ეოფნას ფუჭათ არ ჩაეარა, შეესწავლათ რამე და მით თავის ქვეყნისთვისაც ესარგებლებინათო-ი ასეთის ჭაზრისაგე ეოფილა ოთხნე შავთელი. ეძაწვილები მიდიოდნენ უკვლა ერთად, შეერთებულის გრძნობით, შეთანხმებულის ჭაზრით და ღრმას გამოძეტუველების შორს გამჭვრეტელობით. ასეთის ჭაზრისაგე იყო ოთხნე შავთელი. ასე განუკეთავს ეკლიანი გზა თვისი.

შავთელის თანა მედრეკვე ჰირად მთიებ სასჩინო და სწავლის სვეტს შოთა რუის-თაველს სადიან, დამწერს «ვეფხის ტყაოსნისა», ჩასრულსაძეს, თმოგველს, სოფელსა და სხვებს, [1]) რომელთა მწარე და ულმობელ ხვედრთა-გამო თავ-თავის ადგილს დავასასულებთ. ოდესნე შავთელმა მიიღო შესაფერი განათლება, განვითარების შემდეგ ის გამოვიდა უდამო სამეცნიერო აკადემიიდამა, შემდეგ ამის წარემართა ეგვიპტეს, ფინიკიას, ვითარ განმარტვენ. — ამ გვარს უძველესთ ბსარეებსში, რომელნიც აუკაკებულ-ყოფილან თავიანთის შინაგან სწავლა განათლებით, და ბონებითის წარმატებით, ამას თვით ახლის დროის მეცნიერნიც განგვიმარტვენ, ამ გვარს ადგილებსში მოგზაურობის გამო, ოდესნე შავთელი უფრო განვითარებულა სამეგრ-მეტუველო ფილოსოფიასში, ბონების გამოსვა სჯასში, რომელისა გამო ფრლად იგულისხმება და სჩანს ანტონ კათალიკოზის იამბიკოებიდამ. შემდეგ ამისა დაბრუნებულა საქართველოსში. ადნიშვნენ, რომ ამისაგე დროს დაბრუნდნენ მრავალი ნასწავლი ქართველი უმაწვილნიო, რომელთა ბონებაც ელინურის სწავლით იყო განსწავლულიო, მათ შორის, თუ ცოტა მის-სნის შემდეგ დაბრუნდა ჩვენი მნათობ ვარსკვლავი და მელექსეობის დიდი კერა შოთა რუის-თაველიო, რომლის სახელსაც სანუკვად განმარტვენ, რომ ელინთა სწავლა განათლების მეოხებით განათლდა შოთა რუის-თაველი და მით შთამოიდგრა საქართველოსში

---

1) ბროსეს წერილი «ვეფხის ტყაოსანზე» 1848 წ.

სწავლა განათლების წყარო ითელია, რომლისა ძალით განათლდა არე და მას შიგან მეოთი გონება ბნელი ერია.

შვნა ტომთ გავლესის ქალ გაწვრთვნილი და გაზ-დილი შავთელი, გონების ემბაზი და დიდი მთიები დი-დის ბატივის-ცემით მიიღეს ქართველთ ნასწავლ-უმაწვილ-კაცობამ, რომელთაც სამეფო გამგეობასში და მოქმედება-სშიაც დიდი მონაწილეობა ქონდათ მიღებული, შავთელი, როგორც ერის კაცი, საეკლესიო ჯ საბერ-მონაზონ სწავ-ლის ძალითაც აღვსილი, გონება განცხოველებული და განს-ვეტაგებული, დიდის გულ მხურვალეობით იყო სავსე, იმას დიდათ ჭსურდა, რომ საქართველოსშიაც აღთენებუ-ლიყო ის სწავლა განათლების მანათობელი ლამპარი, რომ-ლითაც უძველესის დროიდგანვე დაიწყეს ძოწოლა და უვირილი რომმა და ათენმა. საქართველოს ტურფა ბუ-ნება, უმწვერვალესით გადმომზირალი მთა, ბარნი, შეკ-ეობილნი ნაბარალნი, ბუნჭით შეზორტებულნი და ბნელი ღელენი, აყვავებული მდელონი, თვალ დაუვალი ველთა და ცის კიდენი და ათას ნაირის ფერინველთა სმოვანებრ ჭიკჭიკით გამდიდრებული ჯ განცხოველებული უძვირფასესი ქვეყანა დიდს საგანთ მნიშვნელობას უნდიდა შავთელს, რომ ეს ტურფა ქვეყანა ზეურმუსტის ალალივით გარს მოქარგული—განათლების ძალით თავის შესაფერად ერთ-ხელაც არს დაწინაურებულიყოს, სადაც მაშინ მთანი და ბარ-ნიც-კი მისცემდნენ ძოწოლით წივილსა, მას-შიგან მეოთ-თა ელინთა სწავლით განბრწყინვებულ-მგზებარე აგრაკის ტომის გამოგო.

ამ გვარის ოცნებებით გართული შვიოელ, სიყვარელი შვილი თავის ქვეყნისა, მასათობელი გონების აღბეჭდელებით სავსე, თავის გულის წადილისა და კეთილთა დასათურგვნელებისა გამო შეგიდა იგი სამეფო სამსახურსში, რომელიც დიდის პატივისცემით იქმნა მიღებული და თამარ მეფისაგან სამეფო მდივნად დადგენილი. სამეფო სამსახურსში ეს კარგა სანს დარჩენილა. ამის დროს ადმობრწყინდნენ ზოგი-ერი განათლებულთ მწერალთ პირთაგანნი, ამავე დროს განადდა ქართული მწერლობა, აღორძინდა, დაიწყეს წერა. მოქმედება, მწერლობის გამდიდრება და წარმატებასში შესვლა, მაგრამ ეგელ ესენი სამეფო წესების მიშის ქვეშ კეთდებოდა და სამეფო სამსახურსშიგე მოსამსახურე პირებისაგანა.

იმ დროსში ოთხელი განათლებული კაცი იმას სცდილობდა, რომ იმას გაეკეთებინა რამე და მით თავის სამშობლო ქვეყნის ლაშქარდოვნი

ის ერის წინაშე რამე სარგებლობა მოეტანა, მაშინდელი ქართველი უმაწვილ კაცობა სწორეთ ისე იყო მომზადებული და განათლებული, როგორათაც რომის და ათინელთ ფილოსოფიის გავლენის ქვეშ გაზდილი შვილები, რომელნიც თავიანთის ღრმა კამოძეტყველების და შორის გამჭვრეტელობის წყალობით იქებოდნენ და იდიდებოდნენ. ოთხანე შვიოელი, რომელიც ერთი ამ ზემო სსენებულთ-მწერალთა გავლენის ქვეშ გაზდილი და სამეფო სამსახურის მედიდურებით სავსე მწერლობასაც მოჰკიდა ხელი და დაიწყო წერა. ამ დროს მას აუტუდნენ სამეფო სამსახურის შეოთიანი კაცები, რომელთა ქიშპობამ და მოწინააღმდეგობამ

საქმე იქამდინ მიიყვანა, რომ შავთელი იძულებულ-ყოფილ დაეტოვებინა ამიერ სოფლის უოვლიერ ადმაყვავილებელი და ზე-ადმათრენი ლტოლვილებანი და განშორებიოო უ-დაბნოსა-შინა, სადაც იგი იცხოვრებდა მოსვენებით და ამიერ სოფლის დრტვინვა ვარამთანა და დროთ ბრუნვა უგულმაოთ წარმავალ მსოფლიოებასთან მოშორებული. ეს ასეც იქმნა. იგი ადიგეგეცა ბერათ და შეკიდა გაესათის მონასტერსში. მაგრამ, მარტო ამით არ გათავდა იოანე შავთელის დასჯა და განდევნა: იმას მონასტერსში უფრო უმტეუნა უგულმართმა ბედმა და ბოლოს ყამს უფრო უარეს ადგილს მიადგია, სადაც თავის უკანასკნელი დღის წუთები იქ განატარა და იქვე გარდაიცვალა დიდს ამ-ბოხებაშიო. ანტონ კათალიკოზის ნაზრით იოანე შავ-თელი წმიდათათანა შერაცხულია.

ასევე უგულმართად განსრბოლნა ჩვენი უკვდავი და მნათობ გარსკულავი შოთა რუისთაველის სიქმე, ამ გა-ნათლების ლამპარსა და მეფექსეობის კერას უფრო ცუდი ნაკადი ნაცვდა. «ვეფხის ტყაოსნის» დაწერის გამო აუტეხნენ მასა და თავის სამშობლო საქართველოდამაც განდევნეს, ამის დასჯა მაშინდელს სამღვდელო პირთ ქიშპობასა, ძრწოლასა და ამბოხებას მიეწერება, რასა-კვირველია სამეფო პირთ თან-ხმობით. რუის-თაველი ადესრულდა იერუსალიმს ჯვარის მონასტერსში, დევნაში და სასოწარკვეთილებასში ჩავარდნილი, რომელიც იქვე იქმნა დასაფლავებული უცნობლად და სამშობლო ქვეუ-ნის მწერალთა-მიერ დაუტირალი. რუის-თაველის საფლავის ტაგრუცი დღესაც მოსჩანსო, მაგრამ წარუწერელიო, ნიშნად

ულმობელის ბედისაგან დასჯისა, აღნიშვნულ მეთვრამეტე საუკუნის საქართველოს მოგზაურნი. ასევე ცუდათ წავიდა «დიდარიანის» დამწერის სარგის თმოგველის საქმე, რომელიც დევნასში აღსრულებულა და მისი წიგნიც მავნედ ჩათვალეს. ამას ჩახრუხაძეც ამტკიცებს თავის ზოემასში ესრედ:—«მოუ ბარისა, მის მდუღარისა, დიდარისაგან აღშთოთებულად.» აქ ამათზე დავტოვებთ, რადგანაც თავ-თავის ადგილს გვაქვს ნათქვამი. ასე ეოთვიდა მაშინაცა, რომ კაცს საზოგადო საქმეზე ხმა ამოეღოს და ეთქვა, რომ მდიდარი და გლეხი ერთიანო, იმას მაშინათვე ან დაახრჩობდნენ, ან თავს მოჭვეთდენ და ან ციცხლსში დასწოდნენ, რომ როგორ თუ შენ გაბედე და გლეხი და მდიდარი ერთათ გასადეო. ეეჭვალია რუისთაველის დასჯის მიზეზათ ესეც უნდა ჩათვლილიეო, რომ მან სთქვა: «თხა და მგელი ერთგან სძოვდესო». ამაზე ეჭვი არ უნდა გვქონდეს, რადგანაც მაგალითი წინ გვიძევს.

როგორც ზემორეც მოვიხსენეთ. ოოვანე შავთელი შესულ იქმნა გაენათის მონასტერსში და აღგვეცილი, მონასტერსა-შინა იგი დარჩა კარგა ხანსა, მაგრამ ცოტა არ იყოს, როგორც მიუჩვეველ-კაცს ერთობ უჭირდებოდა თურმე და იქაურს ლარ-გასმულობას ვერ ეწყობოდა. რომ ეხსნა თავი იმ გაჭირებისაგან, მას დაუწყია თამარ მეფისა და მეუღლის მისის დავით მეფის შესხმის წერა, ეს იქვე დაუთავებია და შემდეგ წარუდგენია თამარ მეფისთვისა, რაისა-გამო იმედიც ჰქონია, რომ ახლა-კი გამანთავისუფლებსო. ამ ლექსის დაწერის გამო საძღვდე-

ლო�ა დიდათ ასკვნუეულია. გასასგუთრებით ეკეკლესიის დიდნი და წარჩინებულნი მამანი, ბერ-მონაზონნი, ეპისკოპოზნი და კათალიკოზი. იოვანე მიუსმიათ და გამოუცხადებიათ მისთვის: თუ ბერი ხარ ან ამიერს სოფელს გამოემშვიდობე და დასთმე ყოველისფერი და შემოსველ აქა, აქ მსოფლიო ღელვას თავი უნდა ანებო, თუ არა და ეს რა საქცელია! ამაზე მას შეჩვენება მიუღია მდგელ-მთავრებისაგანა, თუმცა მის ბოლამაში წინადმდეგ-კი არა დაუნახავთ-რა. თამარ მეფეს წაუკითხავს მისი ბოლა, მოსწონებია თუ არა, ამაზე არს გადმოგვცემენ, სოლოდ ის-კი სჩანს, რომ შემთხვევის შემდეგ შავთელი გაესათიდამც განდეგნეს საცალა შორეულს ქვეყანასში, რასაკვირველია საეკეკლესიო კანონ-მდებლობის ძალით, მისცეს მას სელში წერაქვი, შეეზავნეს თხრილსში და დაეწყებინეს ოსრა. იქ, სადაც ეკეკლესის და საძეთო წესების წინააღმდეგთ გზავნიდნენ და თავიანთ სიკვდილამდის იქვე სტოვებდნენ. იქ დარჩა იოვანე შავთელი მუშაობასში და მუნ იქვე აღესრულდა დიდის ტანჯვითა.

მსოლოდ სად ეოთილა ეს, ამის შესახებ ჩვენ არაფერი ვიცით, არ ვიცით აგრეთვე ის, თუ იქ რამდენ წელიწადს დაყო, სად დასასაფლავეს, ან რამდენი წლისა იყო, რომელ წელიწადს გარდაიცვალა, რა გარემოებასში იყო ჩავარდნილი და სხვა. თუმცა ეკელა ჩვენ ამაებზე ცნობები არა გვაქვს, მაგრამ ეჭვი არ უნდა გვქონდეს ამაზე, რომ იოვანე შავთელი ძეტის-მეტს სასო წარგვეთილებასში არ ეოფილიყოს მიცემული. აქ თვით მკითხველმა განმარტოს, ამან განსჯვრიტოს, თავის მადალ გონიერის თვალით.

განდეგნეს რუის-თაველი, განდეგნეს დავით სალთა ბაგოელი, განდეგნეს სარგის თმოგველი, დიდი მწერალი და თვით რუისთაველისაგან ნაქები, რომ «დიდსარგეთის სარგის თმოგველსა, მას ენა დაუშრომელსა» განდეგნეს იოგანე შავი ელიცა. ამ გვარ განდეგნამ და მწერლების ურთიერთ კავშირის დარღვევამ იგინი დააშორა ერთ მეორესა, რომელნიც ისევე ერთ მეორისაგან მიგიწყებულნიც დაინოცნენ მწარის ნაღვლიანობასში. აი ასეთის კანონებით გამგებობდა და მეფობდა ჩვენი თამარ მნათობი, რომელსაც ქართველი მწერლები დიდათ აქებენ, აღიდებენ და სწერენ, რომ თამარ მეფეს არავითარი ცოდვა არ მიუძღვისო, რომლითაც წინაშე მამულისა, აგრეთვე ერისა თვისისაო. აი ეს არის ჩვენთვის საჭიროო მხარე, რომელსაც უნდა კარგად ვეფიქრეთ, ვისმენდეთ და ვიგულისმოდგინებდეთ. მაგრამ, რა! ჩვენი უმაწვილ-კაცობა განა ეღირების ამის გაცნობას!? სულაც არა, ისინი მხოლოდ ცრუს პატრიოტობით და ღვითონის სიტყვით აქებენ ჩვენს წარსულს, უმსგავსოო, უმეცრებითა და უსამართლობით სავსეს, «ვისრულ, ვრეკლა, სოსლანებით».

იოგანე შავთელს ერის კაცობასში ამდენ მესია რჩმევია! ჩვენ არ ვუწყით, თუ რაისა გამო უწოდეს მას სასულიერ ამდენ მესია!? რიგორც ვიცით, ეს სახელი ქართველი არ არის, არამედ სხვა ტომთა, ან ქართველთა კერძო-თავვანის ტომის დროინდელი. ბერობასში-კი იოგანე უსახელ-სარწმუნეებით. ამის შესახებ ქვემოთ წაიკითხავთ ერთ ძველს წერილს, სადაც მოსსენებულია ყველა ამ ენების შესახებ. აი ეს შეგვეძლო ჩვენთვის უწყალოდ დას-

ჯილს შავთელის შესახებ, რაც აქ ჩემმა კალამმა ვერ შესძლო, რომ იოვანეს შესახებ დაწვრილებით და მართლმსჯელობით გამოეთქვა, ის თვითონ მკითხველისთვის მიმინდვია, მან განსაჯოს, მან წარმოიდგინოს და განსჯვრიტოს თავის შესედულებით.

გადავალ ახლა შავთელის პოემასზე ლ მის ბიბლიოგრაფიულ შენიშვნებზე.

შავთელის პოემა ვითომც ოც-მარცლოვანის ლექსის სტრიქონით არის ნაწერი. ამის შესახებ ერთნაირად და ერთ-ხმად ამტკიცებენ საქართველოს ძველნი და ახალნი მეისტორიენი. ჩვენ ამ ძველთა და ახალთ თქმულებათ დაგერწმუნეთ და ჩახრუსაძის პოემა სწორეთ ისე დავუბეჭდეთ, როგორც, ვითომც უნდა ეთქვიოს. მაგრამ ცოტა არ იყოს რაღაცა უსეირნოდ გამოვიდა და ლექსის ძალიც ცუდია, წასაკითხავთაც ცუდათ იკითხება, ამიტომ ჩვენ ვარჩიეთ, რომ შავთელის პოემის ტაეპის თითო სტრიქონი, ორათ ან სამათ გაგვეყო და ისე დაგვებეჭდა; ორათაც გავყოთ, სამათაც, ისევ სამათ ვამჯობინეთ, სწორეთ ამ ზომითვე უწერიათ მეთერთმეტე საუკუნის პოეტთ ეგრისელსა და ძაგნაკორელსაო. ამ ორს საყურადღებო უძველესეთ მელექსეებზე ცალკე მაქვს მოხსენებული ჩემგან-მიერ დაწყობილს ქართველ მწერლების ბიოგრაფიულს ცნობებსში, რომელიც შეიცავს მეოთხე საუკუნის დასაწყისიდამ მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისამდე და განიყოფება სამ წიგნად.

ამ ოც-მარცვლოვანი ლექსის ზომას ძველად «ჩახრუსაულს» უწოდენო. ასევე განმარტავენ ქართველთა

ეკვდეს დროის სხვა-და-სხვა მოთხრობის მწერალნი, შელექსნი და სხვანი, თავიანთი რომან მოთხრობებსში მოუგანილს ლექსებთა და ქებათა სახელ-წოდებათა გამო. ასევე განმარტვენ მავთელის ლექსის ზომის შესახებ, რომ ამის ლექსიც სწორეთ ისე უნდა იყოს ნაწერი, მაგრამ, აქ-კი გზა აუქციეთ ძველთა მწერალთა თქმულებასა და მოგვსენეთ ისე, როგორც უფრო უმჯობესად დავინახეთ, სტროიქონი სამად გავყავით. ძველი მწერლობის ზოგი ერთ მოყვარე ბრძენ რომ ნახეს ეს, მაშინ თვით იგინიც დაგვერწმუნენ და აღვიარეს, რომ შეიძლება, მართლაც სწორედ ასე ეწერათო. მხოლოდ შემდეგ, ქართველის სიმკაცრის-გამო გადამწერთაგან ასე გაბმულის სტროიქონით დაეწყოთ წერა და ბოლოს ისეთ წარმატებასშიაც შესულიყოს, რომ ამას თავისი ზომის სახელ-წოდებაც მიეღოგო. ასე ეოიდიყოს, თუ ისე, ამაზე ჩვენ არის ვიტყვით, მხოლოდ ლექსი-კი მშვენიერად და კოხტად გამოგიდა და ვინც რომ უნდა სთქვას. შეგვიძია შოთა რუის-თაველი თავის «ვეფხის ტყაოსნის» ბოლოსში ესრედ მოიხსენებს ამ იოვანე მავთელს ბრძენს: «ამდენ მესია მავთელსა, ლექსი მას უქმეს რომელსა». ამ შენიშვნიდამ ცხადთ მტკიცდება, რომ მავთელს «ვეფხის ტყაოსანზე» ყინეთ უნდა დაეწეროს. ჩხარუხაძის ლექსზე მავთელის უმჯობესობა იქიდამ სჩანს, რომ ჩხარუხაძის ლექსის ბოლოსში მოხსენებულია რამდენიმე სახელ-წოდებანი. რომელ სახელნიც «ვეფხის ტყაოსნის» გმირთა სახელებს ეთანხმებიან, მაგალითად:—«ასე თინათინ, ნუ ის თინათინ, არაბეთს იყო სულადინი».

აქედან აშკარათ სჩანს, რომ ჩახრუხაძის ლექსი «ვეფ-
ხის ტყაოსნის» შემდეგ უნდა იყოს სწერილი, შავთე-
ლისა, რომ ჩახრუხაძეზე წინეთ უნდა იყოს, ეს რუის-
თაველის მოხსენებიდამაც სჩანს, რომელიც ზემოდ მო-
ვიხსენებ. აქ ამაზე ეს-ესვი არა გვაქვს ჩვენა. ამ საგნის
შესახებ ჩახრუხაძის ბიოგრაფიაში ჩვენ უფრე გამოვსთ-
ქვით, მხოლოდ იქ ცოტა ბუნდეთ მოგვივიდა, რომელ-
შიაც შავთელის ლექსის დრო 1182 წ. აღნიშნულია.
აქ-კი ასე შეიძლება ვსთქვათ, შავთელის უნდა 1188 წ.
იყოს დაწერილი, რუისთაველის 1191 წ. და ჩახრუხა-
ძესი-კი 1197 წ. ამაზე მაინც გარდაწყვეტით არას ვიტ-
ყვით. რაისა გამო შემდეგ მოვიდავსარაგებდ. აქ მხოლოდ
ის გვაკვირვებს, რომ შოთა რუის-თაველი შავთელს ად-
დულ მესიად იხსენიებს, აქედან ან ის უნდა სჩანდეს,
რომ «ვეფხის ტყაოსანი» ისეთ დროს უნდა იყოს ნა-
წერი, როცა ჯერ შავთელი ბერათ არ იყო შემდგარი,
ან არა და რუის-თაველმა თავის ლექსში ან განგებ მოიხ-
სენა ასე, ან არა და ლექსის მარცვლის გამო ასე დაწერა.

შავთელის პოემასში ბევრი ისეთი სტრიქონებია, სა-
დაც მოხსენებულია ზოგი ერთა გმირთა სმბავნი, ქართ-
ველთა სახელები და წიგნებთა სათაურები. აქ ამაზე ვრც-
ლად მინდოდა განმეძარტა, მაგრამ უადგილობის გამო ისევ
ქართული მწერლობის მეორე წიგნს დაუთმე, სადაც ვრც-
ლად არის მოხსენებული.

ოვანე შავთელს ანტონ კათოლიკოზი ესრედ მოიხ-
სენებს თავის «წყობილ სიტყვაობასში» [1]) ასე, ბიიტიკოსი

1) გამოცემა 1853 წ. თფილისს.

კაცი, მაღალ-გამოამთქმელ, მოძღვრებთა ბრწყინვალე, სიბრძნის მოყვარე, მართალ მესიჯოგიზმე, ღვთის მეტ-ყველი, შექმნილ უოველსა შინა, იოვანე ბრძენ შვთელ-ზედ წოდებული, შოთამ სთქვა მისთვის, უძესო ლექსი შვთელს და თამარ დიდის ისტორიათა შინა, შაირთ გამოამთქმელ და წმიდად მოიოხრობის, განწმინდა ამან, სარგე უბიწოებით და მიჰსცა ღმერთს, რომლისა წინაშე ჰსდგას». იოსელიანისაგან დაბაჭდილს გამოცემაზე მი-ბეჭდილია ერთი ძველი ცნობა, რომელიც მომყავს აქ შეუცვალელად ეი:

«ძუ©ლსა დედანსში ზედ წარწერა წიგნისი ამისა ეს-რედ ეწერა:» თამარ მეფისა, გიორგი მეფის ასულისა, დაკითიან ბაგრატოვანისა და მეუღლისა მისისა ბაგრა-ტოვანისაგე დაკით მეფისა სრულიად მბურობელისა სამთა სამეფოთა: ქართლისა, კახეთისა, იმერეთისა და ხუთთა სამთავროთა, სათაბაგოს, ოდიშისა, გურიისა, ათაბაგ-თისა, სვანეთისა და სხვათა და სხვათა და სხვათა მბურო-ბელისა შესხმა, აბდულ მესია შვთელისაგან (ესე იგი მოხა ქრისტესი) თქმული, რომელი იყო ადგილიდგან სათაბაგოსათა, ამან მოართვა გელათიდამ, მეფესა თა-მარსა, რომელი იყო მდიგანი მეფე თამარისა და შემდ-გომ იქმნა მოხაზან და უწოდეს სასელად იოანე, რო-მელმან მოიგო ცხოვრება თვისი გელათის მოხასტერსა შინა ეკკლესიასა».

ეს ცნობა დაუკარგავს ოაბისათვის მოგიყვანედ აქ. მხოლოდ ჩვენ არ ვიცით, თუ ეს ვის-მიერ უნდა იყოს მიწერელი? თვითონ შვთელისა, თუ სხვისაგან იქმნა მი-

წერილი, ეჭვი არა გვაქვს იმის შესახებ, რომ ეს ცნობები ძველის ცნობებიდან არ იყოს ამოგლეკილი, რომელთაც ჩვენამდის ვერ მოაღწიეს, ამომწერს ეს ცნობები თავისებურად უნდა გადაეგეთებინოს. ამას თვით ამ შენი შენის თორმეტ ამტკიცებს, რომ სხვათა, სხვათა და სხვა-თა. ეს ჩვენს ძველს მწერლობასში სრულიად არ იყო შემოღებული, ეს მეთორმეტე საუკუნესში შემოვიდა, როცა საქართველო დაუსდგა შესაერთებულთა, აქედან ცხადათ სჩანს, რომ როგორც შვთელის წიგნზე მიწერილი ცნობები, აგრეთვე ჩახრუხაძეზეც ასევე დრამაში უნდა იყოს ზედ მიწერილი, ამაზე ეჭვი არა გვაქვს.

შვთელის ბოლოს გახიოლოგება სულ ორას თექვსმეტ ტაეშათა, ტაეში შეიცავს ექვს სტროიფონს. ამ ლექსის ზომას ძველთ «ძაგსაგორულს» უწოდნენ. ძაგრამ «ძაგსაგორული» სამ-სტროიფონიანია და არა ექვსიანი, რომელის ორი სტროიფონი ერთ მარცვლოვანი უნდა იყოს და ერთის რითმისა, მესამე სტროიფონი-კი მარცვლებით ორს ზემო ხსენებულს სტროიფონებს უნდა უდრიდეს და ერთმო უნდა იყოს, ესე, რომ მესამეს რითმა ზემოთ ორს სტროიფონის რითმას არ უნდა წაჰგავდესო.

ამასვე ეკუთვნის ქართული წელთა აღრიცხვის საბასეფო ცხრილის აღწერა, რომელიც აღმოსჩნდა, აღწერა ეს აღუბეჭდიათ და ჩაუთავთ ქართული «დასაბამების» ბოლოსში, რომელიც 1745 წ. გამოსცეს რუსეთის ქ. მოსკოვს. გამოცემა ეკუთვნის ვახტანგ მეექვსის შვილებს: ვახუშტისა და ბაქარს, მსოფლიო მმართველობითა და დაზვისა და ბლაკის მეჯრეობით იოსებ სამებელი-

სათა. გამოცემა ესე ადგილდებოდა ალექსანდრიის ქალაქსა-ზე და აწ ძვირად საშოვარი.

ამ საუკუნის ნახევარს, აღწერა ესე ქართველის ენა-ზედ გადასთარგმნა ფრანცუზულად, საქართველოს ისტო-რიის მწერალმა მარრი ბროსემ, რომელმაც შეაგროვა ქართული ეკლესიის წელთა აღრიცხვანი, გადასთარგმნა ფრან-ცუზულათ და 1852 წ. ვეტერბურგის აკადემიის სელმ-ძღვანელობით გამოსცა ფრანცუზულს ენაზე და იქვე ჩა-ურთა ქართული ეკლესიის ხელთ-ნაწერებიცა, წიგნი იგი შესანიშნავია თავის ძნიშვნელობით. განსაკუთრებით არიფმეტიკული და მათემატიკურის ტერმინებითა. [1])

აი თვეთ ზედ მიწერილ მოძღვარს აქვე.

«ეს ასრული კვირკლოსისა საძიებელი და ასწავ-ლებელი, ანმბიკოდ თქმული წმიდისა და ნეტარისა მა-მისა ჩვენისა ითვანე შავთელისაგან, ბერეველად ამისთვის დაწერე, რომელ ზემოთაც საუწყებელსა შინა მეკვნა. ამასსა კვირკლოსსათსა ქრონიკონსცა დაუწერენ დიდსა, წინა მდებარეთა წელთასა, უკეთუ ეგე, თავად ვინმე და-წერდეს ვინაიდგან ერთი მეორისა მოწაფე არს, ზემორე ქრონიკონსა მივანდე და თანა ადარ დაუწერნე: და ესე რიცხვნი შავთელისა ანმბიკოთა ქვეშთ მოსაკიდებელ არს და ბერეველსა მის ტოლე წაიკითხვიდე და მეორესა ამას, მწერალმან მუნ სსუა რაღმე ამბიკიდა და ესე ადარ დაიწერებოდა».

არ უწყით, თუ ვის მიერ უნდა იყოს შენიშვნა ესე

---

1) დ. ბაქრაძის ნაწერები.

მიწერილი. იქმნება თვით იოვანე შავთელის ხელით, მაგრამ იქმნების სხვისაგანაც, აქ სხვა სჩანს.

ბრალესაგან გამოტემულს წიგნის 33 კაბადონზე მოუკანიდია შემდეგი;—«და მის ჯერისათვის სანთელი სულიერისა ფილოსოფოსისა წმინდაგეო შავთელი, შემწეობითა იესბიეოთა ბეთიდად და ღვთივ შვენიერად წარმოიჩინა». თუმცა დაწერილებით არვიცით, რომ ეს კვინგელოსი ჩვენგან აღნიშნულს შავთელს ეკუთვნის, მაგრამ სინამდვილეზე, რომ ეს სწორედ იოვანე შავთელი თამარ მეფის დროს შავთელი უნდა იყოს, ამაზე ეჭვი არა გვაქვს, რადგანაც ცხრილი იმ დროს შეეხება და იმ ქართველთა წელთ აღრიცხვის მოქცევასა. მხოლოდ ჩვენ არ ვიცით, თუ როდის აჭსწერა ეს კვინგოლოსი და ან სადა. ბრალეს და ბაქრაძეც ასე ამტკიცებენ.

ზემოდ, ჩვენგან მოყვანილს ცნობას, რომელიც ამოვიღეთ ერთის ხელთ-ნაწერის წიგნიდამა, იოვანე შავთელის დასჯის შესახებ, ძალიან უახლოვდება და ეთანხმება მღ. დიმიტრი ჯანაშვილის ცნობა და ჭაზრი, რომელიც მოყვანილია და გამოთქმული მისგან დაწერილს ისტორიულ-თხუზულებასში «ქართველი ქალები»ს 48 გვერდზე.

იოვანე შავთელის შესახებ ჯანაშვილს მოჭყავს შემდეგი: «თამარის მამა გიორგიმ გამოაჭრევინა ეკკლესია და მარაზონთა სენაკები, ამბობენ, რომ ამის გამოკვეთაზე სულმწიფის მოდალატენი და სხვა ტუსაღები მუშაობდნენო. ამავე დროს უფლის ციხესში ვიღაც შავთელი კლდესა ჭკვეთდა საეკკლესიოდ. საქმეს რომ მორ-

ჩოქილა, ამის კედელზე გამოუჭრია შემდეგი წარწერა: «მე შავთელმა ერთი წერაქვი შვიდ დღეს ვიხმარე ამის კეთებასში და ერთხელ არ გამიღესია». შემდეგ სხოლიოს უმატებს: «საინტერესოა ვიცოდეთ, ვინ შავთელია ეს კაცი! იქნება ეს შავთელი ბერად შემდგარი ბოტი არის? ქორონიკონად ამ ნაწერს აქვს 110 წ.». ბუტკოვის I ტომის 1 გვერდი. [1]).

აქ გარდაწყვეტით და დამტკიცებით არას ვიტყვით, რომ ეს შავთელი ჩვენგან მოხსენებული შავთელი იყოს. ეს მით უფრო, რადგანაც ჩვენგან მოხსენებული შავთელი ჯავახეთისკენ უნდა ყოფილიყოს გაგზავნილი, იქმნება ვარძიასში და ეს ჯანაშვილს შავთელი-კი უფლის ციხესში ყოფილა შემწყვდეული. ამის გასარკვევათა და დასამტკიცებლად ჩვენ ცნობები არა გვაქვს, რომ გარდაწყვეტით ხელი დავხდოთ, მაგრამ იმის შესახებ-კი ეჭვი არ უნდა გვქონდეს, რომ ჯანაშვილისაგან მოხსენებული შავთელი ჩვენგან მოხსენებული არ იყოს, ამის დასამტკიცებლად, ჩვენ მხოლოდ ერთ ნაირი ჭაზრი და შემთხვევა გვაბედინებს, რომ ვიფიქროთ, ეს შავთელი სწორეთ ის უნდა იყოსო.

ეველა ამებთან ჩვენს საშუალოდ ისა რჩება, რომ ჩვენამდის ვერ მოახწია შავთელის იმ თხუზულებამ, რომელის დაწერის გამო იგიც დასაჯეს. სჩანს, მაშინათვე გაუქვრიათ!

---

1) იკერია, 1881 წ. მეცხრე ნომერ.

894.63.09
ᲒᲐ 551

БУКИНИСТ

557/29

3

ᲤᲐᲡᲘ 15 ᲙᲐᲞᲔᲘᲙᲘ.

ᲛᲝᲛᲖᲐᲓᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲓᲐᲡᲐᲑᲔᲭᲓᲐᲗ ᲨᲔᲛᲓᲔᲒᲘ ᲬᲘᲒᲜᲔᲑᲘ:

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲐ, ᲛᲝᲡᲔ ᲯᲐᲜᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡᲐ.
ᲡᲐᲔᲙᲚᲔᲡᲘᲝ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲐ, ᲛᲦ. Ს. ᲑᲔᲒᲘᲔᲕᲘᲡᲐ (ᲡᲣᲠᲐᲗᲔᲑᲘᲗ).
ᲐᲜᲐᲢᲝᲛᲘᲐ ᲙᲐᲪᲘᲡᲐ, ᲐᲚ. ᲥᲕᲐᲚᲘᲗᲔᲚᲘᲡᲐ.
ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲙᲐᲚᲔᲜᲓᲐᲠᲘ 1884 Წ.
ᲢᲐᲪᲘᲢᲘᲡ ᲪᲜᲝᲑᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲖᲔ, Დ. ᲑᲐᲥᲠᲐᲫᲘᲡᲐ.